№ 502. პარასკევი, 10 აპრილი. 1896—1898 პარასკევი, 10 აპრილი. № 502.

რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
[illegible]
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონისათვის [illegible] 10 კაპ., მეოთხეზე 4 კაპ.

Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ




ახლად გახსნილი
## სტამბა „ცნობის ფურცლისა“
(ვ. გუნიასი)

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119, 120 და 121.

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველ-გვარი საქმე სრულდება სწრაფად, სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც ასრულობს ხელნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

სადღესასწაულოდ—სავიზიტო ბარათები სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და მშვენივრად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ ТИПОГРАФІИ „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
(В. Л. Гунія)

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.

Дешевизна, изящество и быстрота исполненія.

თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო დაასაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი
## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,
რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება 70 კ. მესამე ტომი გაიყიდება 60 კ.
მეორე „ „ 60 კ. მეოთხე (ორი წიგნია) 1 მ. 20 კ.

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანათად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას—პირველსა, მეორესა და მესამე ტომზე თექვსმეტ-თექვსმეტი კაპ. თითოეულზე, ხოლო მეოთხეზე 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ადრესი: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество. (15—2)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ— დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის Dr ф. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისმათვის, ლექტრონით წამლობისთვისაე და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.



## „ბავშვების მოკეთის“
შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მამარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჯის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადგენულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—1) პატივისცემით ალ. ნათაძე.

მგზავრთა საყურადღებოდ.
მარტის 5-დან გაიღება
ახლად გაწყობილი
## სლავიანის სასტუმრო
შუა ბაზრის მახლობლად, ორბელიანის უბნის ბოლოს, სადაც წინად „მუსიკალური საზოგადოება“ იყო.

მშვენივრად გაწყობილი და მორთული ოთახები

მაღალი, მშრალი, სინათლიანი და მყუდრო.

ფასი: დღიურად 50 კ. 5 მანეთამდე. თვიურად 10 მ. 50 მანეთამდე.

СЛАВЯНСКАЯ ГОСТИНИЦА
домъ армянской семинаріи, на Салд. базарѣ.

Чистота и дешевизна.

პატივის ცემით დიმიტრი ხუნდაძე

(30 18)

ახალგაზრდა
## ქართველი ქალი
კურს დამთავრებული

საშუალო სასწავლებელში და დაჯილდოვებული მეცადინეობისათვის, ეძებს ყმაწვილებს მოსამზადებლად პირველ დასაწყისი სასწავლებლებისთვის. თანხმაა სახლებშიაც იაროს.

მსურველთ იკითხონ: ვოზნესენსკის ქუჩაზე, სახლი № 25.

(6—1)

# ახალი ამბავი

† თავ. გიორგი ქოჩაქიძე (ჭალადიდელი). ტფილისში მოვიდა სამწუხარო ამბავი თავ. გიორგი ქოჩაქიძის გარდაცვალებაზე რუსეთში. ეს სახელი შეიძლება ბევრმა არ იცოდეს ჩვენში, მაგრამ ვისაც კი უდევნებია თვალ-ყური ქართული მწერლობისთვის, ყველას ახსოვს ამ ოცი, ოც-და-ხუთი წლის წინად სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზდა მგოსანი გიორგი ჭალადიდელი. აი ეს ჭალადიდელი იყო ფსევდონიმი თავ. ქოჩაქიძისა. დროთა ვითარებამ ის გადასტყორცნა რუსეთში და ყოველთვის საქმიანობის და სამსახურის გამო თავისს მუზას წინანდებურად ვეღარ ემსახურა... ამ უკანასკნელს წლებში ის ძალიან ცოტას სწერთა, მაგრამ ჩვენის პატარა ხალხისათვის ძალიან სამწუხაროა ასეთი ნიჭიერი მწერლის დაკარგვა.

ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს მისს დაობლებულს სულს!

*** თავ. გ. დ. შარვაშიძის ავადმყოფობა. თავ. შარვაშიძე 8 წელიწადია, რაც ავად ყოფილა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია თავის ავადმყოფობისათვის და როგორც ყველამ უწყის, ძალიან მხნედ ეკიდებოდა თავის თანამდებობის აღსრულებას; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს სენი იმდენად გაძლიერებია, რომ სერიოზული აპერაცია საჭირია და ამისათვის პატივცემული თავადი მიემგზავრება ბერლინის ცნობილ ხირურგებთან. თავ. შარვაშიძეს თან მიჰყვება მუდმივ მომვლელად ექიმი სამსონ თოფურია.

*** სათავად-აზნაურო ბანკის არჩევნები. როგორც მკითხველებმაც უწყიან, 19 აპრილისათვის დანიშნულია ჩვენი ბანკის კრება. ახლავე ეტყობა ჩვენს საზოგადოებას მოძრაობა ამ კრების გამო; იკრიბებიან სხვა-და-სხვა წრეები, დასები, აქვთ მოლაპარაკება, სჯა, ბაასი, ვინ აღირჩიონ განსვენებული დირექტორის ავალიშვილის მაგიერ, ან როგორ დაუხვდნენ სახელმწიფო რჩევისაგან დადგენილ ახალ კანონს წარმომადგენლობის შესახებ. სხვათა შორის ჩვენ შეგვიძ-

ლიან ვაუწყოთ მკითხველებს, თუ ვის ასახელებენ კანდიდატებად მეოთხე დირექტორის ადგილზე: თ. ალექ. ზაალ. ძეს ჩოლოყაშვილს, თ. დ. ა. გურამიშვილს, თ. ლ. გ. ჯანდიერს, ვ. ა. სულხანიშვილს და თავ. ნ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანს.

* * **ქართული სახალხო წარმოდგენა.** დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ავჭალის ქუჩაზე, იაფფასიან სასადილოში, ქართული სახალხო წარმოდგენა სცენის-მოყვარეთაგან. წარმოადგენენ ბ. კ. მესხის ცნობილ 5 მოქმედებიან დრამას „თამარ ბატონიშვილს“.

იმედია, წარმოდგენის მოთავეთ ახლა მაინც ექნებათ ნაშოვნი სასცენო ტანისამოსი და დღეს მაინც აღარ გადასდებენ წარმოდგენას შემდეგისათვის. იმედია აგრეთვე, რომ სახალხო წარმოდგენას ნამდვილ სახალხო ხასიათს მისცემენ და თეატრის დარბაზში „ჭუჭყიან ხალხს“ „სპეტაკს საზოგადოებას“ არ წამოუსკუპებენ წინ, როგორც ეს გუშინ-წინ მოინდომებიათ.

* * **შესანიშნავი არტისტი სალვინი ტფილისში.** ეს გამოჩენილი არტისტი უნდა ჩამოსულიყო ტფილისში კვირაცხოვლობის კვირაში, მაგრამ ისეთი ღრმა და აღტაცებითი შთაბეჭდილება მოუხდენია თავისის ხელოვნურის თამაშით რუსეთის ყველა ქალაქებში, რომ სადაც ოთხი და ხუთი წარმოდგენისათვის იყო მიწვეული, იქ ათი და ხუთმეტი წარმოდგენა გაამართვინეს, ამისათვის ტფილისში ჩამოსვლა არტისტს დაუგვიანდა და ამ თვის დამლევს, ან მაისის პირველ რიცხვებში ჩვენც მოვესწრობით იმის გასაოცარის წარმოდგენების ცქერას.

* * **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება დანიშნულია 12 აპრილს ნაშუადღევის პირველ საათზე დეპუტატთა კრების დარბაზში. ამ კრებაზე განხილულ იქმნება კითხვები ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღებისა და მეფე ერეკლე მე-II-ის სახელზე სტიპენდიების დანიშვნის შესახებ.

* * **ხიზანთა საქმე.** შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც ისმის, არ შეუწყნარებია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბარათის უმთავრესი მუხლები ხიზანთა საქმის შესახებ. ამ ბარათის ერთი უმთავრესი მუხლი, როგორც ვიცით, მდგომარეობს იმაში, რომ გაუადვილდეს მიწის მფლობელს ხიზნების გადასახლება მათი ადგილ მამულიდან, სამინისტრომ გადაჭრით უარ-ჰყო ეს მუხლი და საჭიროდ სცნო დაცულ იქმნე 1891 წლის 3 ივნისის დებულების 7 სტ. რომლის ძალით ხიზანი, რომელსაც მისი ნების წინააღმდეგ გადაასახლებენ, იღებს ყოველგვარ სამეურნეო მოწყობილობის ორ-კეც დირეულებას, თავის ადგილ-მამულზე ეს კითხვა განხილულ იქმნება სახელმწიფო საბჭოში შემოდგომაზე. („ნ. ობ.“)

* * **ნავთის წარმოება.** 1898 წ. თებერვლის განმავლობაში ბაქოში უწარმოებიათ სულ 50,794,855 ფუთი სასარგებლო ნავთი. გაუტანიათ ბაქოდან ამ ხნის განმავლობაში 9, 9,619 ათასი ფუთი ნავთის ნაწარმოები, აქედან 6,827 ათასი ფ. ამიერ-კავკასიის რკინის გზით, ხოლო 2, 792 ათასი ფ. კასპიის ზღვით. საზღვარ-გარეთ გაუტანიათ ბათომიდან 3,263,900 ფუთი ნავთის ნაწარმოები.

* * **ბავშვის დაწვა.** პოლიციის მე-7 განყოფილების მცხოვრების არტილერიის მოხელის ცოლმა, სულით ავადმყოფმა, 6 აპრილს შეაგდო გახურებულ ფეჩში თავისი 4 წლის ქალი. დანარჩენ ბავშვების წივილ-კივილზე მოვარდა მოსამსახურე სალდათი და ბავშვი ფეჩიდან გამოათრია, მაგრამ საცოდავი ისე დამწვარიყო, რომ 15-ოდე წუთში გარდაიცვალა. შეშლილი ქალი გაგზავნეს სამხედრო საავადმყოფოში და მოათავსეს შეშლილთა განყოფილებაში.

* * **კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის სხდომა.** 9 აპრილს მოხდება კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნება კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში წელს ვაზის სხვა და სხვა გვარ ავადმყოფობასა და ფილოქსერასთან ბრძოლის საქმე. კომიტეტის სხდომას, სხვათა შორის, დაესწრება მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი მოხელე, ბ. ა. ვიტმერი.

* * **ახალი გზები კავკასიაში.** მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით როგორც გაზ. „ნოვ. ვრ“ გვაუწყებს, გადადებულია 548 ათასი მან. შავი ზღვის პირის გზა ტკეცილზე მუშაობის განსაგრძობად, 390 ათასი ბათუმიდამ ახალციხე და ართვინამდე გზის გასაყვანად, 200 ათასი სოხუმიდან კლუხორის უღელ-ტეხილზე ყუბანის ოლქისაკენ გზის გასაჭრელად და 300 ათასი ახალ გზა-ტკეცილების გასაყვანად ყარსის მახლობლად და სხ. სულ კავკასიაში ახალი გზების გასაკეთებლად წელს გადადებულია 1.862,260 მან. და გარდა ამისა უკვე არსებულ შესაკეთებლად 1.584,396 მან.

* * **უბედურება შავ ზღვაზე.** გაზ. „ჩერნ. ვ.“-ის სიტყვით, ფოთის ნავთ-სადგურში მომხდარ უბედურების დროს დაღუპულა 18 ადამიანი. დაღუპულნი მუშები ყოფილან, უმეტეს-ნაწილად რაჭველები, რომლებიც შინ დაბრუნებულიყვნენ სააღდგომოდ. სამს ნაპოვნ გვამს უნახეს ასი მან. და ცოტა მეტი; მეოთხეს ას-ოცდაათი მან. და კაპეიკები.

* * **ორი ბრმა.** სამშაბათს, 7 აპრილს, ავჭალის უფასო სასადილოსთან იჯდა ორი ბრმა ბიჭი, ერთი სულ ახალგაზდა, მეორეც ოცი 28—30 წლისა, რომლებიცაც ამით ახლოდან გზის მაჩვენებლებით 13—14 წლის ბიჭები, როგორც შემდეგ შევიტყე; ეს საბრალო ბრმები თურმე ნაცვამ ტანისამოს ელოდებოდნენ, რადგანაც შარშან დაგვირიგეს, იქნება წელსაც მოგვცენ რამეო, მაგრამ ტყუილად. წელსაც თურმე დაარიგეს ძველი ტანისამოსი, მაგრამ სასადილოში კი არა, არამედ თავშესაფარში. როდესაც მე შავეკითხე ბრმებს, იციან სად არის თავშესაფარი თუ არა, იმათ მიპასუხეს: ცოდნით კი ვიცით, ერთი ავლაბარშია და მეორეც ვერაზედ, მაგრამ ჩვენ იქ არ გვიღებენ, თუმცა რამდენჯერ კი ვიყავით; აგრე გვითხრეს, აქ მარტო მუშებს ვიღებთო!..

მე ძალიან გამაკვირა ამ პასუხმა: ნუ თუ თავშესაფარი უნდა დაეკვეთოს ამათთანა საპყრებს, ორივე თვალით ბრმებს, და ჯანღონით სავსე და ყოველივე გარეგანი ორგანოებით აღჭურვილი მუშაკი უნდა წამოწვეს თავშესაფარში!..

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბრალოებს გადმოხედვენ მოწყალების თვალით!..

ბრმები არიან ქართველები, ქიზიყელები, ს. ბოდბიდან.

მირზანელი

* * **ნაძალადევი.** ნაძალადევის განყოფილებაში ცხადათა სჩანს ამისი უძალობა, ცხადათ ეტყობა, რომ ჩვენს დიდებულს ქალაქს ეს ნაწილი არ მიუღია წიაღსა თვისსა. ამიტომაც ნაძალადევი ქალაქის ნაწილს კი არა, სოფლის უბანსაც არა ჰგავს. აქ გზა არ არის, გზა, რომ კაცმა გაიაროს, მომატებულად ავდარში, როდესაც მუხლამდის სარევი ტალახი აიდგვლიფება ხოლმე; არსად არ აჭუნტია ერთი ორი ფარანიც-კი, რომ კაცმა ბნელა ღამეში გზა გაიკვლიოს. მე, ამ სტრიქონების დამწერი, ერთხელ ვიყავი და ბედი ვიწყევლე. მაშ თვითონ ნაძალადევლები როგორ უძლებენ გამუდმებით ასეთ უწეს რიგობას, უგზოობას და სიბნელეს. თუ ქალაქი არ აქცევს ყურადღებას ამ ნაწილს ტფილისისას, რატომ თვითონ ნაძალადევლები არ უპატრონებენ თავიანთს თავს, როგორც აქამდის უპატრონეს.

დროა, დრო, ახლად შეძენილმა ქალაქის ნაწილმა იზრუნოს საცალფეხო გზისა და ორიოდე გზის მაჩვენებელი ფარნისთვის მაინც.

მ—ლი

* * **ვაზის სამკურნალო საშუალებათა გამოწერა.** მიწადმოქმედების დეპარტამენტმა, მიიღო რა ცხედველობაში, რომ საფილოქსერო კომიტეტების-მიერ საზღვარ გარეთიდან ვაზის სამკურნალო საშუალებათა და სხვა საჭირო საგნების გამოსაწერად შესაძლებელია ნაკლები ფულის დახარჯვა, თუ კომიტეტები ხსენებულ საგნებს ერთად და პირდაპირ საზღვარ გარეთელ დიდ ფირმებიდან გამოიწერენო, წინადადება მისცა ოდესის საფილოქსერო კომიტეტს დაითანხმოს მან დანარჩენი კომიტეტები აღნიშნულ საგნების ერთად გამოწერაზე და იყიდოს საქმეთა წარმოება ამ საგნის შესახებ. ამ ჟამად, როგორც იუწყებიან, ოდესის საფილოქსერო კომიტეტს უკვე უთხოვნია კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისათვის გვაცნობეთ თქვენი მოსაზრება ამ საგანზეო.

* * **ს. თიანეთი.** † **იოსებ ცისკარაშვილი.** „დაწყევლილმა მარტის თვემ“ ჩვენთვის მოიცალა, ჩვენზე იხმარა თავისი ძალა და იგრედაც უმწეო საზოგადოებას დაგვაკლო ერთი საუკეთესო და საზოგადო მოღვაწე წევრი ი. დ. ცისკარაშვილი (ი. კახელი).

ქართველი მკითხველი არა ერთხელ და ორჯელ შეამჩნევდა გაზეთის ფურცლებში „ი. კახელის“ და „უჩინარის“ ხელ მოწერილს როგორც მოთხრობებს, აგრეთვე სხვა და სხვა წერილებს და ნათარგმნებს და უნდა შევნიშნოთ, რომ თუ დიდი არა, ცოტაოდენი ადგილი მაინც ეჭირა ქართულ მწერლობაში

ი. დ. ცისკარაშვილი დაიბადა 5 თებერვალს 1864 წ. სწავლა დაამთავრა გორის სამოსწავლო სემინარიაში, რის შემდეგაც მაშინათვე წავიდა სოფლის მასწავლებლათ კარდანახში 1 მკათათვეს 1882 წ. 1 ენკენისთვეს 1887 წ. გადავიდა სოფ. რუისპირში იმავე თანამდებობაზე, ხოლო 1 ოქტომბერს 1888 წ. მასწავლებლობას თავი დაანება და მსახურებდა რკინის გზაზედ; შემდეგ რკინის გზასაც თავი დაანება ავადმყოფობისა და ჰაერის აუტანლობის გამო და 13 მაისს 1894 წ. შევიდა თიანეთის მაზრის სამმართველოში კანცელარიის მოხელეთ. აქ თავისი მეცადინეობით და მუყაითი შრომით მალე დაიმსახურა საქმის მწარმოებლის თანამდებობა, რასაც ასრულებდა უკანასკნელ დღემდე. გარდა თავის სამსახურისა მისდევდა აგრეთვე ქართულ მწერლობას და საკმაოთ განვითარდა. ყოველთვის სცდილობდა საზოგადო საქმისთვის არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. იმის შრომა მეცადინეობა ამტკიცებს, რომ მას წილი უდევს საზოგადო მოღვაწეებში. მხურვალე მონაწილეობას იღებდა თიანეთის წიგნთ-საცავის დაარსებაზე და მისივე მეთაურობით შეერთდა თიანეთის საზოგადოება და დააარსა სავაჭრო ამხანაგობა, რითაც დღეს მთელი თიანეთის მაზრა ამაყობს. კიდევ ბევრს რასმე გააკეთებდა, მომავალს ბევრს რასმე უქადდა, რადგანაც ჯერ ისევ ახალგაზდა და შრომის მოყვარე იყო; მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა აღარ დააცალა და უდროვოდ მოუსპო სიცოცხლე. მარტის პირველებში ასტკივდა ყურები და რადგანაც სატკივარი საშიში გამოდგა, ამიტომ 22-ს მარტს წაიყვანეს სახლში, ქ. თელავში რათა იქ მოერჩინა თავი. იმ ღამეს თელავში ვერ ჩასულიყვნენ და შუა გზაზე, სოფ. ახმეტაში დამდგარიყვნენ. იმ საღამოს ცოტა კარგა გამხდარიყო, ჩაიც დაელია და თავისუფლად დაეწყო ლაპარაკი; სხვათა შორის, ეთქო ამ მისი ნათესავებისთვის: „თქვენა ნახავთ თუ ამაღამ არ მოვკვდეო“. რამდენჯერმე გაემეორებინა საწყალს ეს უკანასკნელი სიტყვები, და მართლაც, იმ ღამის საათის ჟამზე გრძნობა დაჰკარგოდა და აღარაფრის გაგება აღარა ჰქონდა; გათენებისას კი საათის ხუთზე მიებარებინა სული.

მთელ თიანეთის საზოგადოებას გული მოსწყვიტა იმის მოშორებამ; 24 მარტს პანაშვიდი გადაუხადეს და იმის დასაფლავების დღის დასასწრებლად თელავში გაგზავნეს წარმომადგენელი, რათა უკანასკნელათ გამოამშვიდობოს თიანეთის ამხანაგობას და თიანეთის ამხანაგობის სახელით შეკვეთილი გვირგვინი უძღვნას.

ანაშვილი

* * **ს. ვაყა** (ქართლი). **საზიზღარი მკვლელობა.** ს. ვაყაში იციან აღდგომის მესამე დღეს დღეობა „სამებობა“, სადაც იკრიბება ახლო მახლო სოფლის ხალხი დროს გასატარებლად, წელსაც შექეიფიანებული ხალხი რომ დროს ატარებდნენ და სოფლის სხვა და სხვა საკრავებზედ ცეკვავდნენ, ამ ჯგუფ ხალხში იგრიალა თოფმა და იქვე მიწაზედ უსულოდ დასცა ერთი ცოლ-შვილიანი და მოხუცებული მშობლებს ერთი, ოცდა რვა წლის ლომსავით ვაჟკაცი, რომელსაც ტყვია შიგ ყელში მოხვედროდა, ეს აწ გარდაცვალებული, გამოდგა, ვაყაშივე მცხოვრებელი გლეხი დათა თედოს ძე გვარამაძე; საქმე რაში დმგომარეობს, ჯერ დარწმუნებით არავინ იცის. მკვლელი გახლავთ ქურდევანიძეების საბალახოს ყარაული, ახლად მოსული ჩვენს კუთხეზედ უცნობი ოსი; ოსმა რომ თოფი გაისროლა, ორს კიდევ სხვა ვაყელებსავე გადურბინა მხრებზე ტყვიამ, რომელსაც კანი აეგლიჯა და ტკივილს ძრიელ გრძნობენ. ეს რომ ხალხმა დაინახა, გამოუდგნენ ხსენებულ ოსს, დაიჭირეს და იმდენი სცემეს, რომ ტანისამოსი სულ შემოაგლიჯეს, ესეც არ აკმარეს, ხალხში, რომელთაგანმაც იძრო ხანჯალი და სამს ალაგას დასჭრა ისე, რომ საწყალი ოსიც საშიშ მდგომარეობაშია და მისი მორჩენა ყოვლად შეუძლებელია. ოსის დამჭრელი ჯერ ვერ მოუნახავთ; ჩვენს დღეობებზე ხშირათ ხდება ხოლმე საეთი შემთხვევა, მით უფრო, რომ დღეობაზედ ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ესწრება ხოლმე და, რადგანაც უფრო საჭირო ამისთანა დროს არიან პოლიციელნი, კარგს იზამენ, რომ დაესწრონ ხოლმე წესიერების დასაცველად და ყველას აღუკრძალავდნენ იარაღის ტარებას.

ალელი მედავითნე


# განცხადებანი

# ბუღლის ნერგები

ისყიდება დ. ხოჩში

ა. ა. საფაროვის და მ. ვ. ვანძის აბრეშუმის ფაბრიკაში. (5—4)